

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

გამოცემის თარიღი: : 2 ივლისი, 2018
განახლების თარიღი : 2 ოქტომბერი, 2019
ვერსია No. : 1

1: ნივთიერების/ნარევისა და კომპანიის/საწარმოს იდენტიფიკაცია

1.1 პროდუქტის იდენტიფიკატორი

პროდუქტის სახელწოდება : ამისულბრომი 20 სკ / Amisulbrom 20 SC
სხვა დასახელება : NC-224 200 გ/ლ სუსპენზიის კონცენტრატი, NC-224 20სკ, ლიმაი, ლიმაი 20სკ, შინკონი (SHINKON), კანვასი (CANVAS), ამისულბრომი18% სკ, GEKKO 20SC
ფორმულაციის კოდი : NC-224 20 SC 03
ფორმულაციის ტიპი : სუსპენზიის კონცენტრატი (სკ)

1.2. ნივთიერების ან ნარევის მიზნობრივი იდენტიფიცირებული გამოყენება და რეკომენდირებული შეზღუდვები

ფუნქცია : მცენარეთა დაცვის საშუალება, ფუნგიციდი

1.3. უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის მომწოდებლის მონაცემები

მწარმოებელი და მომწოდებელი: „ნისან ქემიკალ კორპორეიშნ“ (Nissan Chemical Corporation)
5-1, ნიჰონბაში 2-ჩომე, ჩუო-კუ, ტოკიო 103-6119, იაპონია (5-1, Nihonbashi 2-chome, Chuo-ku, Tokyo 103-6119, Japan)
საკონტაქტო პირი: Mr. Masanori Kai
ტელეფონი: +81-(0)-3-4463-8310, ფაქსი: +81-(0)-3-4463-8331

1.4. გადაუდებელი დახმარების ტელეფონის ნომერი

„ნისან ქემიკალ კორპორეიშნ“: +81-(0)-3-4463-8310 (ხელმისაწვდომია მხოლოდ სამუშაო საათებში)

2. საფრთხეთა იდენტიფიკაცია

2.1 ნივთიერების ან ნარევის კლასიფიკაცია

კლასიფიკაცია გაეროს გლობალური ჰარმონიზებული სისტემის (GHS) შესაბამისად

წყლისათვის მწვავე 1, H400
წყლისათვის ქრონიკული 1, H410

2.2 ეტიკეტის ელემენტები

ეტიკეტირება გაეროს გლობალური ჰარმონიზებული სისტემის (GHS) შესაბამისად

საშიშროების აღმნიშვნელი პიქტოგრამა:



სასიგნალო სიტყვა: გაფრთხილება

საშიშროების შესახებ განცხადებები:

H400: ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის.
H410: ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის გრძელვადიანი ეფექტებით.

გამაფრთხილებელი განცხადებები:

P273; პროდუქტი არ უნდა მოხვდეს გარემოში.
P391: შეაგროვეთ დაღვრილი/დაფრქვეული პრეპარატი.
P501: შიგთავსის/ტარის უტილიზაცია მოახდინეთ ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად.

2.3. სხვა რისკები

პრეპარატი არ განიხილება როგორც მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური (PBT) ან ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულირებადი (vPvB).

3. შემადგენლობა/ ინფორმაცია ინგრედიენტების შესახებ

ნივთიერება ან ნარევი: ნარევი

ქიმიური შედგენილობა:

- ამისულობრივი20 % w/v
- წყალი..... > 50 % w/v
- ზედაპირულად აქტიური ნივთიერება და სხვა ინერტული ინგრედიენტები..... < 30 % w/v

მოქმედი ნივთიერება

- სახელწოდება : ამისულობრივი
- კოდი No : NC-224
- CAS No. : 348635-87-0
- ქიმიური სახელწოდება (CA) : 3-[(3-ბრომ-6-ფტორ-2-მეთილ-1H-ინდოლ-1-ილ)სულფონილ]-N,N-დიმეთილ-1H-1,2,4-ტრიაზოლ-1-სულფონამიდი
- (IUPAC) : 3-(3-ბრომ-6-ფტორ-2-მეთილინდოლ-1-ილსულფონილ)-N,N-დიმეთილ-1H-1,2,4-ტრიაზოლ-1-სულფონამიდი
- კლასიფიკაცია GHS-ის შესაბამისად : მწვავე ტოქსიკურობა კატეგორია 4, წყლისათვის მწვავე 1, წყლისათვის ქრონიკული 1.
H332, H400, H410

ინერტული ნივთიერება 1

- ქიმიური სახელწოდება : ალკილპროპილგლუკოზიდი
- CAS No. : არ სახელდება
- შემცველობა : < 20% w/w
- კლასიფიკაცია GHS-ის შესაბამისად : თვალის დაზიანება 1
H318

4. პირველადი დახმარების ზომები

4.1. პირველადი დახმარების ზომების აღწერა

- თვალთან შეხებისას : დაუყოვნებლივ გამოირეცხეთ თვალები გამდინარე წყლით 15 წუთის განმავლობაში. მიმართეთ ექიმს.
- კანთან შეხებისას : გაიხადეთ ზემოქმედების ზონაში დაზინმურებული ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და წინდები. პრეპარატი კანიდან ჩამოირეცხეთ გამდინარე წყლით ან შხაპის ქვეშ საპნით. თუ კანის გაღიზიანება ნარჩუნდება, კონსულტაციისთვის მიმართეთ ექიმს.
- ჩასუნთქვისას : სუნთქვის გამწვანებისას დაზარალებული გაიყვანეთ სუფთა ჰაერზე. თუ არ სუნთქავს, ჩაუტარეთ რეანიმაციული პირით-პირში სუნთქვა (ან ხელოვნური სუნთქვა). გაათბეთ პლედით და ამოფეთ მოსვენებულ მდგომარეობაში. მიმართეთ გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას.
- გადაყლაპვისას : არ გამოიწვიოთ ლებინება. პირში გამოივლეთ წყალი. უგონო მდგომარეობაში მყოფ ადამიანს არ გადააყლაპოთ არაფერი. მიმართეთ გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას.

4.2 ყველაზე მნიშვნელოვანი, როგორც მწვავე ასევე შეყოვნებული სიმპტომები და შედეგები

დღემდე ადამიანებში არანაირი სიმპტომი არ გამოვლენილა.

4.3. ნებისმიერი გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა და განსაკუთრებული მკურნალობის საჭიროების ჩვენება
მკურნალობა ექვემდებარება პაციენტის სიმპტომების მიხედვით ექიმის გადაწყვეტილებას. სპეციფიკური ანტიდოტები არ არის ცნობილი.

5. ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

5.1. ხანძრის ჩაქრობის საშუალებები

ხანძრის ჩაქრობის ხელსაყრელი საშუალებები : წყალი, ქაფი, მშრალი ქიმიური ნივთიერებები ან ნახშირორჟანგი.

ხანძრის ჩაქრობის შესაბამის საშუალებები : დიდი მოცულობის წყლის ჭავლი.

5.2. ნივთიერებიდან ან ნარევიდან წარმოქმნილი განსაკუთრებული საფრთხეები

ნახშირორჟანგი, ნახშირორჟანგი, ჰალოგენირებული ნაერთები და აზოტისა და გოგირდის ოქსიდები წარმოადგენს თერმული დაშლის პოტენციურ პროდუქტებს.

5.3. რეკომენდაციები მეხანძრეებისათვის

ხანძრის ან/და აფეთქების შემთხვევაში არ შეისუნთქოთ კვამლი. გამოიყენეთ ავტონომიური სასუნთქი აპარატი/რესპირატორი და დამცავი სპეცტანსაცმელი.

გაიტანეთ პროდუქტი ხანძრის ზონიდან, ან წინააღმდეგ შემთხვევაში ტარა გააგრძელეთ წყლით, გაცხელებით გამოწვეული წნევის მატების თავიდან აიცილებლად.

6. ღონისძიებები შემთხვევითი დაღვრის/გაფანტვის დროს

6.1. პირადი უსაფრთხოების ზომები, დამცავი აღჭურვილობა და საგანგებო პროცედურები

გამოიყენეთ შესაბამისი დამცავი სპეცტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ხელთათმანი და სათვალე. მოერიდეთ დაღვრილ პროდუქტთან ან დაბინძურებულ ზედაპირებთან შეხებას. მუშაობის დროს აკრძალულია ჭამა, წყლის დალევა და თამბაქოს მოწევა.

6.2. გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები

უცხო პირები, ბავშვები და ცხოველები გაიყვანეთ დაბინძურების ზონიდან. არ დაუშვათ დაღვრილი სითხის სადრენაჟე სისტემებში ან მდინარეებში/არხებში შეღწევა.

6.3. გავრცელების ლოკალიზაციისა და დასუფთავებისათვის საჭირო მასალა და მეთოდები

შეგროვეთ დაღვრილი პრეპარატი ინერტული მშთანთქმელი მასალის (ქვიშა, ვერმიკულიტი ან ნახერხი) გამოყენებით, შემდეგ ფრთხილად მოგავეთ და მოათავსეთ დახურულ, სპეციალურ კონტეინერში (ცილინდრულ კონტეინერში) უტილიზაციისათვის. გაიტანეთ (დიდი რაოდენობა) ვაკუუმური ნაგავშიდით. არ წარმოქმნათ მტვერი. გადარეცხეთ დაზიანებული ადგილი სარეცხი საშუალებების შემცველი წყლით.

6.4. მითითება სხვა პარაგრაფებზე

ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-8 პარაგრაფში.
ნარჩენების განკარგვის/უტილიზაციის შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-13 პარაგრაფში.

7. გამოყენება და შენახვა

7.1. სიფრთხილის განსაკუთრებული ზომები გამოყენების დროს

გაუხსნელი ტარის/კონტეინერების მოხმარებისას სიფრთხილის განსაკუთრებული ზომები არ არის საჭირო. მთავრად კანზე ან თვალებში მოხვედრას. დაიცავით ტარა ფიზიკური დაზიანებისგან. დამუშავების დროს გამოიყენეთ შესაფერისი დამცავი სპეცტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ხელთათმანი და სათვალე. არ ჭამოთ, არ დალიოთ ან არ მოწიოთ თამბაქო მუშაობის დროს. არ დაუშვათ დაღვრილი სითხის სადრენაჟე სისტემებში ან არხებში/მდინარეებში მოხვედრა.

7.2. უსაფრთხო შენახვის პირობები, ნებისმიერი შეუთავსებლობის ჩათვლით

შეინახეთ ჰერმეტიკულად დახურულ და სათანადოდ მარკირებულ ტარაში. შეინახეთ მშრალ და გრილ ადგილზე და დაიცავით მზის პირდაპირი სხივებისგან. შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილზე. შეინახეთ კვების პროდუქტების, სასმელისა და ფურაქისაგან მოშორებით.

7.3. სპეციფიკური საბოლოო გამოყენება

ეს პროდუქტი გამოიყენეთ მხოლოდ მცენარეთა დაცვის მიზნით.

8. ექსპოზიციის კონტროლი/პირადი უსაფრთხოება

8.1. კონტროლის პარამეტრები

ექსპოზიციის ზღვრული სიდიდეები (DNEL, PNEC) : არ არის დადგენილი.

8.2. ექსპოზიციის/ზემოქმედების კონტროლი

- სამუშაო ადგილზე ზემოქმედების კონტროლი რესპირატორული დაცვა : საშუალო ეფექტურობის ნაწილაკების ფილტრი მყარი და თხევადი ნაწილაკებისათვის.
- ხელის დაცვა : ქიმიურად მედეგი ხელთათმანი, რეზინის ხელთათმანი
- თვალის დაცვა : დამცავი სათვალე.
- კანის დაცვა : გაუმტარი სამოსი, როგორცაა ხელთათმანი, წინსაფარი ან PVC (პოლივინილ ქლორიდის) ჩექმები.
- გარემოზე ზემოქმედების კონტროლი : არ დაუშვათ დაღვრილი სითხის სადრენაჟე სისტემებში ან არხებში/ მდინარეებში შეღწევა.

9. ფიზიკური და ქიმიური თვისებები

9.1 ინფორმაცია ძირითად ფიზიკურ და ქიმიურ მახასიათებლებზე:

- გარეგანი სახე : არც ისე თეთრი, გაუმჭვირვალე სითხე
- სუნი : უსუნო
- pH : 8.1 გამოხდილ წყალში (1% w/v სუსპენზია)
- ლღობის ტემპერატურა/ლღობის დიაპაზონი : არ არის საჭირო
- დუღილის ტემპერატურა/დუღილის დიაპაზონი : დაახლოებით 102°C
- აალების ტემპერატურა : არ არის განსაზღვრული. აალების ტემპერატურა არ არის გაზომილი.
- აორთქლების სიჩქარე : არ არის ხელმისაწვდომი
- აალებალობა : არ გამოიყენება, პრეპარატი თხევადია, არა არის მყარი ან აირადი.
- ფეთქებადი თვისებები : არ არის ფეთქებადი
- ჟანგვითი თვისებები : არ არის დამჟანგველი
- ორთქლის წნევა : 1.8 x 10⁻⁸ პა 25°C-ზე (ამისულობრომი)
- ფარდოვითი სიმკვრივე : 1.13
- ხსნადობა : ტოლუოლი 88.6გ/ლ, მეთანოლი 10.1 გ/ლ 20°C-ზე (ამისულობრომი)
- წყალში ხსნადობა : 0.11მგ/ლ 20°C-ზე (ამისულობრომი)
- გადანაწილების კოეფიციენტი (ნ-ოქტანოლი/წყალი) : Log Pow (ნ-ოქტანოლი/წყალი) = 4.4 (ამისულობრომი)
- სიბლანტე : 120– 3000 მპა.წმ 20°C-ზე, 50– 2000 მპა.წმ 40°C-ზე
- ორთქლის სიმკვრივე : არ არის ხელმისაწვდომი
- თვითაალების ტემპერატურა : 400°C –მდე არ არის თვით-აალებადი
- დაშლის ტემპერატურა : არ არის ხელმისაწვდომი

9.2. დამატებითი ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

10. სტაბილურობა და რეაქტიულობა

10.1. რეაქტიულობა

შეიძლება რეაქციაში შევიდეს ძლიერ ფუძეებთან, მჟავებთან ან ძლიერ დამჟანგავ აგენტებთან, როგორცაა ქლორატები, ნიტრატები, ზეჟანგები.

10.2. ქიმიური მდგრადობა

სტაბილურია ნორმალურ პირობებში შენახვის დროს.

10.3. სახიფათო რეაქციების შესაძლებლობა

სახიფათო რეაქციები არ მოხდება.

10.4. ასარიდებელი გარემოებები

მაღალი ტემპერატურა. მთავრადეთ მზის პირდაპირ სხივებს, ღია ცეცხლს, სითბოს წყაროებსა და ტენიან გარემოს.

10.5. შეუთავსებელი მასალები

შეიძლება რეაქციაში შევიდეს ძლიერ ფუძეებთან, მჟავებთან ან ძლიერ დამჟანგველ აგენტებთან, როგორცაა ქლორატები, ნიტრატები, ზეჟანგები.

10.6. საშიში დაშლის პროდუქტები

შენახვისა და გამოყენების ნორმალურ პირობებში სახიფათო დაშლის პროდუქტები არ წარმოიქმნება. თერმული დაშლის პროდუქტებს მიეკუთვნება ნახშირბადის მონოოქსიდი (ნახშირჟანგი), გოგირდის ოქსიდები და ჰალოგენირებული ნაერთები.

11. ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია

11.1. ინფორმაცია ტოქსიკოლოგიური ეფექტების შესახებ

პროდუქტი	:	LD50 (ვირთაგვები)	>5000 მგ/კგ
მწვავე პერორალური ტოქსიკურობა	:	LD50 (ვირთაგვები)	>5000 მგ/კგ
მწვავე დერმალური ტოქსიკურობა	:	LD50 (ვირთაგვები)	>5000 მგ/კგ
მწვავე ინჰალაციური ტოქსიკურობა	:	LC50 (ვირთაგვები)	>6.43 მგ/ლ (4 სთ)
თვალის გაღიზიანება	:	(ბოცვერები)	არ არის გამაღიზიანებელი
კანის გაღიზიანება	:	(ბოცვერები)	არ არის გამაღიზიანებელი
სენსიბილიზაცია	:	(ზღვის გოჭები)	არ არის სენსიბილიზატორი
ამისულობრი მოქმედი ნივთიერება			
ტოქსიკოკინეტიკა, მეტაბოლიზმი და განაწილება	:	სწრაფად შეიწოვება (C ₀ 2-6 სთ). 50%-იანი პერორალური შეწოვა უკავშირდება ნაღვლით და შარდით გამოყოფას. სწრაფად ნაწილდება, მაგრამ დაგროვების შემთხვევები არ გამოვლენილა.	
მოკლევადიანი პერორალური ტოქსიკურობა (90 დღე)	:	NOAEL (ვირთაგვები)	171/587 მგ/კგ/დღე (მამ./მდედ.)
მოკლევადიანი პერორალური ტოქსიკურობა (1 წელი)	:	NOAEL (ძაღვები)	100 მგ/კგ/დღე
მოკლევადიანი დერმალური ტოქსიკურობა (21 დღე)	:	NOAEL (ვირთაგვები)	300/1000 მგ/კგ/დღე (მამ./მდედ.)
ქრონიკული (1 წელი)	:	NOEL (ვირთაგვები)	11.1/14.3 მგ/კგ/დღე
კანცეროგენულობა (2 წელი)	:	NOEL (ვირთაგვები)	96/129 მგ/კგ/დღე (მამ./მდედ.). არ არის კანცეროგენული
რეპროდუქციული ტოქსიკურობა	:	NOAEL (ვირთაგვები)	1200/261 მგ/კგ/დღე (რეპროდუქცია,მამ./მდედ.) გავლენას არ ახდენს რეპროდუქციაზე

განვითარების ტოქსიკურობა : NOEL (ბოცვერები) 300 მგ/კგ/დღე. არ არის ტერატოგენური
 მუტაგენურობა : არ არის მუტაგენური (უარყოფითია *ინ ვიტრო* და *ინ ვივო* კვლევებში)

12. ეკოლოგიური ინფორმაცია

12.1. ეკოტოქსიკურობა

პროდუქტი

თევზების მიმართ ტოქსიკურობა : LC50 (96 სთ, *Cyprinus carpio*) 1900 მკგ მნ/ლ
 დაფნიას მიმართ ტოქსიკურობა : EC50 (48 სთ, *Daphnia magna*) 44 მკგ მნ/ლ
 წყალმცენარეების მიმართ ტოქსიკურობა : EbC50 (96 სთ, *P. subcapitata*) 42 მკგ მნ/ლ
 ფუტკრების მიმართ ტოქსიკურობა : LD50 (პერორალური/კონტაქტური, 48სთ, *Apis mellifera*) >100 მკგ/ფუტკარზე

პროდუქტი

ჭიაყელების მიმართ ტოქსიკურობა : LC50 (14-დღე) >1000 ppm

ამისუღბრომი მოქმედი ნივთიერება

ფრინველების მიმართ ტოქსიკურობა : LD50 (ვირჯინიული გნოლი და გარეული იხვი) >2000 მგ/კგ
 ფუტკრების მიმართ ტოქსიკურობა : LD50 (პერორალური/კონტაქტური, 48სთ, *Apis mellifera*) >100 მკგ/ფუტკარზე
 ჭიაყელების მიმართ ტოქსიკურობა : LC50 (14 დღე, *Eisenia foetidat*) >1000 მგ/კგ ნიადაგი
 ნიადაგის მიკროორგანიზმები : არ არის გრძელვადიანი ზეგავლენა აზოტისა და ნახშირბადის ტრანსფორმაციაზე (<25% ეფექტი)
 ჩამდინარე წყლების დამუშავება : შემაფერხებელი ეფექტი არ არის

12.2 მდგრადობა და დეგრადაცია

პროდუქტი

ევროკავშირის 5 ლოკაციაზე პროდუქტის სავლე კვლევების თანახმად, საშუალო DT₅₀ იყო 6,9 დღე.

ამისუღბრომი მოქმედი ნივთიერება

ამისუღბრომი იშლება ჰიდროლიზით, განსაკუთრებით სწრაფად ტუტე გარემოში. ამისუღბრომი ადვილად იშლება ნიადაგებში და წყალი/ ნალექი სისტემებში.

ჰიდროლიზი (20°C) : DT₅₀ 163 დღე (pH 4)
 140 დღე (pH 7)
 16 დღე (pH 9)
 ფოტოლიზი წყალში (25°C) : DT₅₀ 6.1 საათი (pH 4, ქსენონის რკალის ნათურა)
 დეგრადაცია ნიადაგში (20°C) : DT₅₀ 60 დღე (გეომეტრიული საშუალო)
 სწრაფი ბიოდეგრადირება : არ არის სწრაფად ბიოდეგრადირებადი

12.3. ბიოაკუმულაციის პოტენციალი

პროდუქტი

პროდუქტის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

ამისუღბრომი მოქმედი ნივთიერება

ბიოკონცენტრაციის ფაქტორზე (BCF) და ნივთიერების სწრაფ დეგრადაციაზე დაყრდნობით ითვლება, რომ აქტიური ინგრედიენტის ბიოკომი დაგროვებისა და კვების ჯაჭვის გავლის პოტენციალი არის დაბალი.

გადანაწილების კოეფიციენტი (ნ-ოქტანოლი/წყალი) : log Pow 4.4
 ბიოკონცენტრაცია : BCF 176

12.4. მიგრაცია /მოხილურობა ნიადაგში

პროდუქტი

პროდუქტის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

ამისუღბრომი მოქმედი ნივთიერება

ითვლება, რომ ამისუღბრომი არ გამომაროდება გრუნტის წყლებში.

ადსორბცია / დესორბცია : ამისუღბრომი K_{oc}^{abs} : 8156-44231 (არამობილური კლასი)

12. ეკოლოგიური ინფორმაცია (გაგრძელება)

12.5. PBT და vPvB შეფასების შედეგები

პროდუქტი

პროდუქტის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი, თუმცა მოქმედი ნივთიერების მონაცემების საფუძველზე ითვლება, რომ პროდუქტი არ არის არც PBT და არც vPvB.

ამისუღბრომი მოქმედი ნივთიერება

ნიადაგში DT₅₀- ის და მოქმედი ნივთიერების ბიოკონცენტრაციის ფაქტორის (BCF) მნიშვნელობიდან გამომდინარე ითვლება, რომ ის არ არის არც PBT და არც vPvB.

12.6. სხვა არახელსაყრელი ეფექტები

არ არის ხელმისაწვდომი

13. განკარგვა/ უტილიზაცია

13.1 ნარჩენების მართვის მეთოდები

არ დააბინძუროთ წყალი, საკვები პროდუქტები, ფურაჟი და მარცვლეული უტილიზაციის დროს.

პრეპარატის ნარჩენების განკარგვა

პროდუქტის გამოყენების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები, რომელთა გამოყენება ან ქიმიურად გადამუშავება არ შეიძლება, უნდა განადგურდეს პესტიციდების უტილიზაციისათვის განკუთვნილ ნაგავსაყრელზე ან დაიწვას ინსინერაციის საწარმოში, ყველა მოქმედი რეგულაციის შესაბამისად.

პრეპარატის ტარის განკარგვა

პრეპარატის ტარა უნდა დაიცალოს სრულად გვერდებზე და ძირზე დარტყმებით და შენჯღრევით (მიკრული ნაწილაკების შესასუსტებლად და მოსაშორებლად). დაუშვებელია პრეპარატის ტარის ხელმეორედ გამოყენება. ცარიელი ტარა სამჯერ უნდა გამოირეცხოს, შემდეგ დაიხვრიტოს და გაანადგურდეს ინსინერაციის საწარმოში, ყველა მოქმედი რეგულაციის შესაბამისად.

14. ტრანსპორტირების შესახებ ინფორმაცია

14.1. UN (გაერთიანებული ერები) ნომერი:
3082

14.2. გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი
ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება, თხევადი, n.o.s. (ამისუღბრომი)

14.3. საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას
მე-9 კლასი

14.4. შეფუთვის ჯგუფი
შეფუთვის ჯგუფი III

14.5. ეკოლოგიური საფრთხეები
ზღვის დამაბინძურებლის ეტიკეტი: ზღვის დამაბინძურებელი

14.6. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის
უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები არ არის საჭირო

14.7. დაუფასოებელი (ნაყარი) ტვირთების ტრანსპორტირება MARPOL II დანართისა და IBC კოდექსის შესაბამისად არ არის განკუთვნილი დაუფასოებელი (ნაყარი) ფორმით ტრანსპორტირებისათვის.

14. ტრანსპორტირების შესახებ ინფორმაცია (გაგრძელება)

14.8. დამატებითი ინფორმაცია

IMDG

UN no. : 3082
კლასი : 9
შეფუთვის ჯგუფი : III
EmS : F-A, S-F

IMDG (გაგრძელება)

საშიშროების ეტიკეტი : სხვადასხვა (S)
ზღვის დამაბინძურებლის ეტიკეტი : ზღვის დამაბინძურებელი
სათანადო გადაზიდვის სახელი : ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება, თხევადი, n.o.s. (ამისულობრივი)

ICAO/IATA

UN no. : 3082
კლასი : 9
შეფუთვის ჯგუფი : III
სათანადო გადაზიდვის სახელი : ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება, თხევადი, n.o.s. (ამისულობრივი)

ADR/RID

UN no. : 3082
კლასი : 9
შეფუთვის ჯგუფი : III
სათანადო გადაზიდვის სახელი : ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება, თხევადი, n.o.s. (ამისულობრივი)

ADN/ADNR

UN no. : 3082
კლასი : 9
შეფუთვის ჯგუფი : III
სათანადო გადაზიდვის სახელი : ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება, თხევადი, n.o.s. (ამისულობრივი)

15. მარეგულირებელი ინფორმაცია

15.1. ნივთიერებისა და ნარევებისთვის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვითი სპეციფიკური რეგულაციები/ კანონმდებლობა

პროდუქტი რეგულირდება ევროკავშირის დირექტივ(ებ)ით ან მცენარეთა დაცვის საშუალებების შესახებ რეგულაცი(ებ)ით, რადგან ის არის მცენარეთა დაცვის ერთ-ერთი პროდუქტი.

დამატებითი ინფორმაცია

ჯანმო –ს (WHO) კლასიფიკაცია : III (ნაკლებად საშიში)
იაპონია : პესტიციდად გამოყენებული პროდუქტი კონტროლდება აგროქიმიკატების მარეგულირებელი კანონის შესაბამისად. არ კლასიფიცირდება შხამიანი და საშიში ნივთიერებების კონტროლის შესახებ კანონით.

15.2 . ქიმიური უსაფრთხოების შეფასება

ამ პროდუქტისთვის ქიმიური უსაფრთხოების შეფასება ჯერ არ ჩატარებულა.

16. დამატებითი ინფორმაცია

მე-2 პარაგრაფში მითითებული შესაბამისი საფრთხის აღმნიშვნელი განცხადებების, გამაფრთხილებელი განცხადებების, რისკის ფრაზებისა და უსაფრთხოების ფრაზების ტექსტი:

- საფრთხის აღმნიშვნელი განცხადებები: H318 იწვევს თვალის სერიოზულ დაზიანებას.
 H332 მავნეა ჩასუნთქვისას.
 H400 ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის.
 H410 ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის გრძელვადიანი შედეგებით.
 H412 მავნეა წყლის ორგანიზმებისათვის მოქმედების გრძელვადიანი შედეგებით.
- გამაფრთხილებელი განცხადებები: P273: პრეპარატი არ უნდა მოხვდეს გარემოში.
 P391: შეაგროვეთ დაღვრილი პროდუქტი.
 P501: შიგთავსის/ტარის უტილიზაცია მოახდინეთ მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

ვერსია	ცვლილებები	თარიღი
ვერსია 1	პირველი ვერსია	2 ივლისი, 2018
ვერსია 2	სხვა სახელის დამატება, საკონტაქტო პირის შეცვლა	2 ოქტომბერი, 2019

ეს უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი მომზადებულია ქიმიკატების კლასიფიკაციისა და ეტიკეტირების გლობალური ჰარმონიზებული სისტემის (GHS), მე-7 განახლებული გამოცემის შესაბამისად.

ზემოთხსენებული ინფორმაციის სიზუსტე საიმედოა და წარმოადგენს ამჟამად ხელმისაწვდომ საუკეთესო წყაროს. თუმცა „ნისან ქემიკალ კორპორეიშნ“-ი არ იძლევა სასაქონლო ვარგისიანობის შესახებ არანაირ გარანტიას ან სხვა პირდაპირ ან ნაგულისხმევ გარანტიას მსგავსი ინფორმაციის მიმართ. „ნისან ქემიკალ კორპორეიშნ“-ი არ იღებს პასუხისმგებლობას პროდუქტის გამოყენების შედეგებზე. მომხმარებლებმა თავად უნდა გამოიკვლიოს/შეაფასოს ინფორმაციის შესაბამისობა მათ კონკრეტულ მიზნებთან მიმართებაში.